



მპს "ტელემედის" თვითრეგულირების საბჭოს

გალანჯვატილება

23/01/2023

მხარეები:

მხარე N1 (საჩივრის ავტორი) - ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია" (წარმომადგენელი - მალხაზ რეხვიაშვილი).

მხარე N2 (მოპასუხე) - ტელეკომპანია იმედის გადაცემის "იმედის კვირა" სარედაქციო გუნდი.

მოთხოვნა:

"გთხოვთ შეისწავლოთ წინამდებარე საჩივარი და დაადგინოთ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევა."

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - "კანონი") 52 - ე მუხლი; „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილების (შემდგომში - "ქცევის კოდექსი") მე - 6, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლები;

საბჭოს შემადგენლობა

ნინო ჟაშალიაშვილი, რუსუდან მაჭავარიანი, ანდრია ლაშხი.

საქმის განხილვის ფორმა

ზეპირი მოსმენა - ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

განხილვას დაესწრო:

მალხაზ რეხვიაშვილი

განსახილველი საკითხი

2022 წლის 12 დეკემბერს შემოსული საჩივარი ტელეკომპანია "იმედის" ეთერში 2022 წლის 04 დეკემბრის გადაცემის "იმედის კვირა" ფარგლებში განთავსებულ სიუჟეტთან - "ვინ გვიდგენს სიმართლეს", დაკავშირებით.

1. საჩივრის დასაშვებობა

საბჭომ მოისმინა საჩივრის ავტორის დასაბუთება საჩივრის დასაშვებობის დაკმაყოფილების თაობაზე, განიხილა საქმეში არსებული მასალები და ფორმალური საფუძვლები, კერძოდ საბჭო აღნიშნავს, რომ

- ქცევის კოდექსის მე - 6 მუხლის (შესწორება და უარყოფა) თანახმად,



მკს "ტელევიზიის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

23/01/2023

"1. დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით.

მოთხოვნა უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, უთარში გაშვების თარიღს და დროს, კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც დაირღვა მაუწყებლის მიერ, დარღვევის სახეს და შინაარსს."

კანონის 52 - ე მუხლის (ჯეროვანი სიზუსტე, შესწორება და უარყოფა) თანახმად,

"1. მაუწყებლები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები.

დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

შესწორების ან უარყოფის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

ა) შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა არ წარდგენილა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში;

ბ) საწყისი განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი;

გ) შესწორებას ან უარყოფას პირდაპირი კავშირი არ აქვს საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის, ან თუ ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა ფაქტის შესწორება ან უარყოფა;

დ) შესწორება ან უარყოფა შეიცავს ცილისწამებას ან საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით ან 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით აკრძალულ მოწოდებას;

ე) შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს;

ვ) მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს.

საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში."

კანონის მე 2 მუხლის ე) პუნქტის თანახმად,



შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გალაწყვეტილება

23/01/2023

დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა;

1.1. მომართვის ვადა

სადავო მასალა ეთერში განთავსდა 2022 წლის 04 დეკემბერს, საბჭომ კი საჩივარი განსახილველად მიიღო 2022 წლის 12 დეკემბერს, შესაბამისად საბჭო მიიჩნევს, რომ საჩივრის მომართვის ვადები აკმაყოფილებს კანონითა და ქვეყნის კოდექსით გათვალისწინებულ ვადებს.

1.2. დაინტერესებული პირის ცნება

1.2.1. საჩივრის ავტორის განმარტებით,

ფაქტ მეტრი არის საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტი, ხოლო სადავო სიუჟეტში გამოითქვა დაუსაბუთებელი ბრალდებები, პროექტისა და მასზე მომუშავე პირების მიმართ, ასევე დაირღვა ჯეროვანი სიზუსტის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის მოთხოვნები. საჩივრის ავტორის განცხადებით, პროექტის მისამართით გავრცელებული ნებისმიერი ბრალდება, მის კანონიერ ინტერესზე ახდენს პირდაპირ გავლენას.

1.2.2. საბჭო აღნიშნავს, რომ

სადავო სიუჟეტში მართლაც გამოითქვა ბრალდებები ფაქტ მეტრის, როგორც პროექტის მიმართ, ასევე მოხდა პროექტის იდენტიფიცირება ვიზუალური ფორმით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო მიიჩნევს, რომ განზოგადებულად (სიუჟეტის ცალკეული ეპიზოდების გამოკლებით) საჩივრის ავტორი აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ "დაინტერესებული პირის" ცნებას.

1.3. კანონიერი ინტერესი

1.3.1. საჩივრის ავტორის განმარტებით,

ფაქტ მეტრი არის საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტი, რომლის მისამართით გავრცელებული ნებისმიერი ბრალდება მის კანონიერ ინტერესზე ახდენს პირდაპირ გავლენას, ასეთად მომჩივანი ასახელებს მის საქმიან რეპუტაციას. კერძოდ, მომჩივანი განმარტავს, რომ დარღვევების შედეგად, ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციას" ადგება რეპუტაციული ზიანი, ხოლო მისი ნეგატიური კუთხით წარმორჩინება პირდაპირ აისახება პროექტის დაფინანსებაზე.



მკს "ტელავიმდის" თვითრეგულირების საბჭოს

გაღმწვეტილება

23/01/2023

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო იზიარებს მომჩივანის დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში საბუჯა მომჩივანის კანონიერი ინტერესი.

- 1.4. საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ მოთხოვნა შეიცავს პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს და დროს, კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც მომჩივანის აზრით დაირღვა მაუწყებლის მიერ, დარღვევის სახეს და შინაარსს. გარდა ამისა, საბჭო აღნიშნავს, რომ მომჩივანი სიუჟეტში არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული და საჩივარი აკმაყოფილებს კანონითა და ქვევის კოდექსით დადგენილ ყველა ფორმალურ პირობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო დასაშვებად სცნობს საჩივარს და იღებს მას არსებით განხილვაში.

2. არსებითი განხილვა

საბჭომ შეისწავლა საქმის მასალები, ფაქტობრივი გარემოებები, ფორმალური და მატერიალური მხარე, საჩივრის დასაბუთებულობა, საჩივრის საფუძვლები და მიიჩნია, რომ საჩივარი ნაწლობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. სამართლებრივი საფუძვლები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, სადავო სიუჟეტში დაირღვა "ქვევის კოდექსის" მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლები.

2.2. ფაქტობრივი გარემოებები და დასაბუთება, რომელზეც მომჩივანი ამყარებს საჩივარს:

2.2.1. პირველი ფაქტობრივი გარემოება:



მზს "ტელევიშელის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

23/01/2023

"წამყვანის შესავალ სიტყვაში ნათქვამია: სწორედ მათი არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული ყალბი ინფორმაციის შემცველი ანგარიშები. სიუჟეტში არცერთ კონკრეტულ ანგარიშზე მითითება არ არის გაკეთებული, რომ ის ყალბ ინფორმაციას შეიცავს."

საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ პირველ ფაქტობრივი გარემოებაში სახეზეა როგორც ჯეროვანი სიზუსტის, ისე მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის პირობების დარღვევა, კერძოდ:

2.2.1.1. ჯეროვანი სიზუსტე:

- მომჩივანმა განმარტა,

რომ წამყვანის მიერ გამოყენებული ფრაზა, "სწორედ მათი არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული ყალბი ინფორმაციის შემცველი ანგარიშები ... " არ შეესაბამება სიმართლეს. ამასთან თავად გადაცემაშიც კი არ არის განმარტებული თუ კონკრეტულად რომელ ყალბ ანგარიშზეა საუბარი, რითაც, როგორც მომჩივანი განმარტავს, დაირღვა ქვევის კოდექსის მე - 12 და მე - 13 მუხლები. ამასთან, ზეპირი მოსმენისას მომჩივანმა ასევე მიუთითა კოდექსის მე - 14 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევაზე. გარდა ამისა, მომჩივანმა ასევე განმარტა, რომ მართალია, შემოხსენებულ მონაკვეთში მისი მარწმუნებელი ორგანიზაცია სიტყვიერად არ არის მოხსენებული, თუმცა შემოადინმნულ ტექსტს - "სწორედ მათი არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული ყალბი ინფორმაციის შემცველი ანგარიშები..." ვიზუალური გადაფარვის გზით თან სდევს კადრი, სადაც მონიტორზე ფაქტ - მეტრის ვებ გვერდი და მისი ლოგოტიპია ნაჩვენები, რითაც, როგორც ის მიიჩნევს, ხდება ბრალდების აღრესატის პირდაპირი იდენტიფიცირება.

- საბჭო განმარტავს, რომ

- კოდექსის მე - 12 მუხლის (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი) თანახმად, "ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიუწოდება მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით."
- კოდექსის მე - 13 მუხლის (მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)) თანახმად, "მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე."
- კოდექსის მე - 14 მუხლის (სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის შესახებ) პირველი ნაწილის თანახმად, "მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორია სანდო და ზუსტი ინფორმაციით და არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება."



შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გალაწყვატილება

23/01/2023

- საბჭო, ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ სადავო ფრაზის პარალელურად ნაჩვენებია მომჩივანი ორგანიზაციის ვებ გვერდი და მისი ლოგოტიპი (ფაქტ - მეტრი), იზიარებს მომჩივანის განმარტებას მისი, როგორც ბრალდების ადრესატის პირდაპირი იდენტიფიცირების შესახებ.
- საბჭო ითვალისწინებს, რა იმ ფაქტს, რომ სიუჟეტში არ არის განმარტებული თუ რომელ ყალბ ანგარიშებზეა საუბარი ან/და სახელდობრ რაში გამოიხატება მათი სიყალბე, მიიჩნევს, რომ სარედაქციო გუნდმა არ მიიღო ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყო ინფორმაციის სიზუსტე.
- საბჭო მიიჩნევს, რომ "ანგარიშის სიყალბე", არის კონკრეტული ხასიათის მდგომარეობა, რომელიც შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

2.2.1.2. მიუკერძოებლობა:

- **მომჩივანი განმარტავს, რომ**

ქვეყის კოდექსის მე - 18 მუხლის (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას) პირველი პუნქტის თანახმად, "პოლიტიკური მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუკერძოებლობა არ გულისხმობს თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობას, არამედ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა." მომჩივანი აღნიშნავს, რომ საკითხან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება არათუ მხოლოდ სათანადოდ არ იყო წარმოჩენილი, არამედ ის სართოდ არ იყო ინფორმირებული მისი მისამართით გავრცელებული ბრალდებების შესახებ, არც საშუალება მისცემია გავრცელებულ ბრალდებაზე საკუთარი შეხედულება წარმოეჩინა და არც თანაბარი დრო დათმობია საკითხთან დაკავშირებულ სხვა მოსაზრებას, ხოლო პირი, რომელსაც საკითხთან დაკავშირებით დაუკავშირდა ჟურნალისტი, არ წარმოადგენდა ადეკვატურ რესპონდენტს, რადგან მათ შორის თავად ამ პირმაც განმარტა, რომ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით ფაქტ მეტრის მთავარ რედაქტორს უნდა დაკავშირებოდნენ.

- **საბჭო აღნიშნავს, რომ**

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

2.2.1.3. სამართლიანი მოპყრობა:

- **მომჩივანი მიუთითებს, რომ**



შპს "ტელეიმელის" თვითრეგულირების საბჭოს

გადანყვანილობა

23/01/2023

პირველ ფაქტობრივ გარემოებაში ასევე სახეზეა სამართლიანი მოპყრობის პრინციპის დარღვევა, კერძოდ მისი განცხადებით, დარღვეულია ქვევის კოდექსის 20 მუხლის მე - 8 ნაწილი რომლის თანახმად, "პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება," ხოლო მას მის მიმართ გამოითქმულ ბრალდებებზე შეპასუხების საშუალება არ მიეცა.

• **საბჭომ შეაფასა**

გავრცელებულ ცნობაში "ბრალდების" ელემენტის არსებობა და მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა ეხელმძღვანელა ქვევის კოდექსის მე - 20 მუხლის მე - 8 პუნქტების მიხედვით და მომჩივანს უნდა მისცემოდა დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

მე - 2 ფაქტობრივ გარემოებად მომჩივანი ასახელებს შემდეგს:

2.2.2. "სიუჟეტში რესპონდენტი ფაქტ-მეტრს ბრალს სდებს, რომ ის (ფაქტ-მეტრი), ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებას, რომ საქართველო ყველაზე მეტს აკეთებს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის, მანიპულაციად აფასებს. აღნიშნული სიმაართლეს არ შეესაბამება"

• **მომჩივანმა განმარტა, რომ**

2.2.3. სიუჟეტში ერთ-ერთი რესპონდენტი თამარ კვიციანი ამბობს, რომ ფაქტ-მეტრმა პრემიერის განცხადება („საქართველო ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი“) შეფასებულია ვერდიქტით მანიპულირება. სინამდვილეში, ვერდიქტით „მანიპულირება“ პრემიერის შემდგომი განცხადებაა შეფასებული: „ჩვენ ამ გზაზე, რასაც ჰქვია ევროინტეგრაციის გზა, ყველაზე მეტი გავაკეთებ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა . . . ჩვენ მოვანერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უფრო რეჟიმს.“ აქ საუბარია არა იმაზე, ყველაფერს აკეთებს თუ არა საქართველო, არამედ იმაზე, რომ საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას ყველაზე მეტი აქვს საქართველოს ხელისუფლებებს შორის გაკეთებული ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანმა მიიჩნია, რომ დარღვეულია როგორც ჯეროვანი სუზუსტის, ისე მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის პრინციპები, რადგან როგორც მან განმარტა, მას არ



შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

23/01/2023

შიეცა საშუალება რესპონდენტის მიერ გავრცელებულ მცდარ ფაქტსა და შეხედულებაზე გაეკეთებინა საპასუხო განცხადება.

- **საბჭომ შეისწავლა რესპონდენტის მიერ გავრცელებული განცხადება და მისი შესაბამისობა ფაქტ - მეტრის მიერ სტატუსით „მანიპულირება“ შეფასებულ განცხადებასთან და გამოარკვია, რომ**

რესპონდენტმა განაცხადა შემდეგი: "ჩვენი პრემიერი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საქართველო **ყველაფერს აკეთებს** იმისთვის, რომ ჩვენ მივიღოთ ეს კანდიდატის სტატუსი ევროკავშირის და ამაზე წერია, რომ ეს არის მანიპულირების საშუალება"

ამასთან, **საბჭომ დაადგინა, რომ** ფაქტ - მეტრის მიერ მანიპულირებად შეფასებულია პრემიერ მინისტრის შემდეგი განცხადება:

"ჩვენ ამ გზაზე, რასაც ჰქვია ევროინტეგრაციის გზა, **ყველაზე მეტი გავაკეთეთ** მას შემდეგ, რაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა ... ჩვენ მოვანერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უვიზო რეჟიმს."

- **საბჭო მიიჩნევს, რომ**

რესპონდენტის მიერ გავრცელებული ცნობა განეკუთვნება ფაქტის კატეგორიას, რადგან ობიექტურად არის შესაძლებელი მისი დადასტურება ან უარყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით კი საბჭო აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ტოლობის ნიშანი დაისვას ფრაზებს - "**ყველაფერს აკეთებს**" და "**ყველაზე მეტი გავაკეთეთ**" შორის. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დარღვეულია ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი.

საბჭო ასევე იზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტაციას და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა ემოქმედა კოდექსის IV (მიუკერძოებლობა) და V (სამართლიანი მოპყრობა) თავებით დადგენილი მოთხოვნებით და მომჩივანისთვის უნდა შიეცა როგორც მისი მოსაზრების გამოთქმის, ისე ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება.

მე - 3 ფაქტობრივ გარემოებად მომჩივანი ასახელებს შემდეგს:



მკვ "ტელევიზიის" თვითრეგულირების საბჭოს

გალაწყვატილება

23/01/2023

2.2.4. სიუჟეტი გაჟღერებულია ბრალდება, რომ ფაქტ-მეტრი ზოგჯერ, თვალის ასახვევად, ამოწმებს იმ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, რომელთა სიმართლევც „მათთან მოდაში აღარაა.“ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება.

• **მომჩივანი აღნიშნავს, რომ:**

სიუჟეტი სადავო ფრაზის პარალელურად ნაჩვენებია ნიკა მელია, რაც, როგორც ის აცხადებს, მინიშნებაა "პოლიტიკოსზე, რომლის სიმართლევც მათთან მოდაში აღარაა", თუმცა მომჩივანის განცხადებით, აღნიშნული პოლიტიკოსის განცხადება ფაქტ-მეტრმა ჯერ 2014 წელს შეაფასა ვერდიქტით „მცდარი“, ხოლო 2018 წელს კი ვერდიქტით, „ტყუილი“. ამასთან, ზეპირი მოსმენისას მომჩივანმა განმარტა, რომ სადავო ფრაზა გულისხმობს იმ ფაქტს, თითქოს ფაქტ - მეტრი ადრე არ აფასებდა ნიკა მელიას განცხადებებს, რაც არ შეესაბამება სიმართლეს და რომ მას არ მისცემია შესაძლებლობა დაეფიქსირებინა მისი პირადი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და პასუხი გაეცა ბრალდებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანი მიიჩნევს, რომ დარღვეულია როგორც სამართლიანი მოპყრობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნები, ასევე ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი. ზეპირი მოსმენისას მომჩივანმა მიუთითა ქვევის კოდექსის მე - 12 მუხლის, ასევე მე - 18 მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტების და მე - 20 მუხლის მე-8 პუნქტების დარღვევაზე.

• **საბჭო აღნიშნავს, რომ**

სადავო ფრაზის (თვალის ასახვევად, ამოწმებს იმ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, რომელთა სიმართლევც „მათთან მოდაში აღარაა“) ანალიზით დგინდება, რომ შეუძლებელია მისი ცალსახად განმარტება იმგვარად, თითქოს ფაქტ - მეტრი ადრე არ აფასებდა ნიკა მელიას განცხადებებს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია ჯეროვანი სიზუსტის ნორმების დარღვევაზე მსჯელობა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ფრაზა შეიცავს ბრალდებას, რომელიც ექვევა კოდექსით დადგენილი მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების რეგულირების ქვეშ - ბრალდების ადრესატს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა მისი მოსაზრება და პასუხი გაეცა ზემოაღნიშნულ შეფასებებსა და ბრალდებაზე, რასაც ადგილი არ ჰქონია.

მე - 4 ფაქტობრივი გარემოება:



მკს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

23/01/2023

"სიუჟეტში გაქვეყნებულია ბრალდება, რომ ეს ადამიანები (ფაქტ-მეტრის შესახებ საუბრისას) სამშობლოს ხარჯზე იწყობენ კეთილდღეობას."

2.2.5. მომჩივანი აცხადებს შემდეგს:

"აღნიშნული ბრალდება არის დისკრედიტაციისკენ მიმართული უმძიმესი ფრაზა. ამგვარი ბრალდების ეთერში განთავსება არღვევს ჟურნალისტური ეთიკისა თუ მაუწყებელთა ქვევის კოდექსის მუხლებს და წარმოადგენს უმძიმეს ჟურნალისტურ დანაშაულს. საყურადღებოა, რომ ეს არ ხდება პირდაპირ ეთერში, სადაც რედაქტირების საშუალება ჟურნალისტს არ ექნებოდა. მოცემული ფრაზა რედაქტირებისა და მონტაჟის შემდგომ, გამიზნულად, ფაქტ-მეტრისა და აქ მომუშავე ადამიანების დისკრედიტების მიზნით არის დატოვებული. ამასთან, ფაქტ-მეტრის წარმომადგენელთან საუბრის გარეშე მსგავსი ბრალდების ეთერში მიცემა ცალსახად მიუთითებს ფაქტ-მეტრის დისკრედიტირების მოტივის არსებობაზე და სამართლიანი მოპყრობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დარღვევის შესახებ.

ფაქტ-მეტრი მიიჩნევს, რომ მოცემულ სიუჟეტში დაირღვა მაუწყებელთა ქვევის კოდექსის მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლები.

2.2.6. საბჭო განმარტავს შემდეგს:

სიუჟეტის მოცემულ ნაწილში გავრცელებული ცნობას - "ჩემი აზრით, ეს ადამიანები არიან ისინი, ვინც სამშობლოს ხარჯზე იწყობენ თავის კეთილდღეობას", არ შეიძლება მიენიჭოს ფაქტის სტატუსი. მსგავსი საკითხების გადაწყვეტის დროს უმნიშვნელოვანესია პირველ რიგში, მოხდეს განცხადების შესაბამისი სამართლებრივი შეფასება: კერძოდ "ფაქტს", როგორც სამართლებრივ კატეგორიასა და "აზრს" შორის არსებული მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი რეგულირების გათვალისწინებით, გავრცელებული ცნობა უნდა შეფასდეს ადეკვატურად, საქართველოს კანონმდებლობით ამისთვის დადგენილი დისპოზიციებისა და განსაზღვრის პრინციპებით. საბჭო აღნიშნავს, რომ "სიტყვისა და გამონათქვამის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად აზრი არის "შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა,



მკს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გალაწყვეტილება

23/01/2023

რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე - 7 მუხლის მე - 5 პუნქტის თანახმად, "აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გალაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ." ამასთან, ამავე კანონის მე - 8 მუხლის (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები) პირველი პუნქტის თანახმად, "ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს." საბჭო ამავედროულად, აღნიშნავს, რომ აზრის თავისუფლების დაცვის ქვეშ ყოველთვის ექვევა კითხვები, რომლებიც იმის საშუალებაა, რომ პირმა მოიპოვოს შესაბამისი ადამიანებისგან ის ინფორმაცია, რომელიც მათივე ნებით არ იქნებოდა გაცემული.

საბჭოს განმარტებით, თუკი მივუსადაგებთ მომჩივანის მიერ მითითებულ პირველ ფაქტობრივ გარემოებას ზემოთ მოცემულ სამართლებრივ საფუძვლებს, გავრცელებული განცხადებისთვის ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის შემოწმების მიზნით, ცხადი გახდება, რომ რესპონდენტის მიერ გავრცელებულ განცხადებას არ შეიძლება მიენიჭოს "ფაქტის" სტატუსი, ამასთან "ქვევის კოდექსის" მე - 2 მუხლის მე - 2 პუნქტის თანახმად, "კოდექსის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს."

ამასთან საბჭო მიუთითებს, რომ

რესპონდენტის განცხადება ცალსახად შეიცავს შეივას ბრალდებას, რომელიც ექვევა კოდექსით დადგენილი მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების რეგულირების ქვეშ - ბრალდების აღრუსატს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა მისი მოსაზრება და პასუხი გავცა ბრალდებაზე, რასაც ადგილი არ ჰქონია.



შპს "ტელეიშედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

23/01/2023

3. გადაწყვეტილება

- საბჭომ იხელმძღვანელა საჩივრით და მოისმინა საჩივრის ავტორის დასაბუთება;
- საბჭომ აღნიშნავს, რომ მოპასუხეს ჩაბარდა საჩივარი და მიეცა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა მისი პოზიცია, მიუღო მონაწილეობა განხილვაში, წარედგინა მტკიცებულებები და დასაბუთება;
- მოპასუხეს განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია.
- საბჭომ შეისწავლა საქმის მასალები, იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე - 2 მუხლი, 52 - ე მუხლი; „მაუწყებლობა ქვევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილების მე - 2 მუხლის მე - 2 პუნქტი, მე - 6, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლები; "სიტყვისა და გამობატვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი, მე - 7 მუხლის მე - 5 პუნქტი, მე - 8 მუხლის პირველი პუნქტი და

მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

საჩივარის ავტორის მოთხოვნა - "გთხოვთ შეისწავლოთ წინამდებარე საჩივარი და დაადგინოთ მაუწყებლობა ქვევის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევა" **დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:**

1. პირველ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით დადგინდეს ქვევის კოდექსის მე - 12 მუხლის, მე - 14 მუხლის პირველი პუნქტის, მე - 18 მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტების, ასევე მე - 20 მუხლის მე - 8 დარღვევა;
2. მეორე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით დადგინდეს ქვევის კოდექსის მე - 12 მუხლის, მე - 14 მუხლის, მე - 18 მუხლის მე - 2 პუნქტის დარღვევა;"
3. მესამე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით დადგინდეს ქვევის კოდექსის მე - 18 მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტების, ასევე მე - 20 მუხლის მე - 8 პუნქტის დარღვევა;
4. მეოთხე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით დადგინდეს ქვევის კოდექსის მე - 18 მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტების, ასევე მე - 20 მუხლის მე - 8 და მე - 9 პუნქტების დარღვევა;

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 (შვიდი) დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში.

ა. ლაშხი

ანდრია ლაშხი (თავმჯდომარე)

ნ. ფაშალიშვილი

ნინო ფაშალიშვილი (წევრი)

რ. მაჭავარიანი

რუსუდან მაჭავარიანი (წევრი)